ნათელი დაუღამებელი

მხოლოდ ეს ეპითეტი თუ შეესაბამება ღვაწლს, შრომასა და ცხოვრებას იმ ადამიანისას, რომლის ხსოვნასაც გვინდა მივუძღვნათ ეს მოგონება.

ნათქვამია, დუმილი ოქროაო, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება გაჩუმება იმ ღვაწლზე, ამაგსა და თავდადებაზე, რომელიც გასწია დაბა ასპინძის საშუალო სკოლის დამსახურებულმა პედაგოგმა, დარბაისელმა, სათნომ, ამაგდარმა, დიდმა პატრიოტმა და ღირსეულმა მოქალაქემ, ყველასათვის საყვარელმა ადამიანმა ლუბა მელიქიძემ.

გასული საუკუნის 50-იან წლებში სრულიად ახალგაზრდა დაინიშნა პედაგოგად სკოლაში და ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა საშვილიშვილო საქმეს – ახალგაზრდების აღზრდას. მან აღზარდა თაობები, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა რაიონში. სრულიად ახალგაზრდამ შექმნა სამაგალითო ოჯახი, ხუთი შვილის დედა და დიდი ოჯახის ამაგდარი ქალბატონი ბრძანდებოდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. თავდადებულმა შრომამ, გულისხმიერებამ, საქმისადმი სიყვარულმა დიდი აღიარება მოუტანა. რაიონში დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა „ლუბა მასწავლებელს“ ეძახდა. უსაზღვროდ უყვარდა თავისი საქმე, უყვარდა ბავშვები, მათთან მუშაობა, ხალისობდა მათი წარმატებებით, მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა, იყო სამართლიანი, მომთხოვნი, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას, ამასთან მკაცრი და მომთხოვნი, უზომოდ ყურადღებიანი, მოსიყვარულე და მზრუნველი. ეს იყო ადამიანი, რომელსაც გააზრებული ჰქონდა თავისი ურთულესი მოვალეობა – აღეზარდა მოსწავლე ზნეკეთილი, თავმდაბალი, განათლებული და, რაც მთავარია, პატრიოტი.

აქტიური იყო საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: იყო აგიტატორი, სკოლაში მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი.

იგი ყველას უყვარდა – მოსწავლეებს, მშობლებს, კოლეგებს. იმდენად ახლობელი და საყვარელი იყო, რომ ჩვენ არასდროს დაგვისვამს კითხვა საკუთარი თავისთვის, რატომ გვიყვარდა ყველას ერთნაირად. გვიყვარდა და იმიტომ. ეს იყო ინტუიციური სიყვარული, რომელსაც ეს სრულყოფილი ადამიანი იმსახურებდა საზოგადოებაში, კოლეგებში, ამხანაგებსა და მოსახლეობაში. ჩვენთვის ახლაც კი აუხსნელია, თუ რა ფარულ ნიჭსა და ალღოს ფლობდა, რომ დასჯის მეთოდს არასდროს არ იყენებდა, მაგრამ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები მუდამ გამოირჩეოდნენ ქცევით, მოქმედებითა და ცოდნით.

იგი ჩვენი უფროსი კოლეგა იყო, გვმოძღვრავდა, გვეხმარებოდა დახელოვნებაში. მისი რჩევადარიგებანი არაერთგზის წაგვდგომია მუშაობაში. გულღია, პირდაპირი და გულთბილი იყო კოლეგებთან ურთიერთობაში. დღეს მისი აღზრდილები მოღვაწეობენ ქვეყნის მასშტაბით და თავადაც ხანდაზმულნი არ ივიწყებენ ამაგდარ პედაგოგს.

ნათელში ამყოფოს განგებამ ამ ღვაწლმოსილი პედაგოგის ნათელი სული და დაამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

კოლეგები:
ბაბულია მელიქიძე
თინათინ ზედგინიძე
სოფიო ინასარიძე
ლარისა თეთვაძე
ნანი კუკავა

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები.
რეგისტრირებულია თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის)
მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 15.03.18.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.03.18.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი – 22.

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე

სტილური რედაქტორი: ბადრი ცხადაძე

კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბოლქვაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი